საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7788/01
13/08/2020

7788-01-2-202008131737

შპს „აბრეშუმის გზის“ დირექტორს
ბატონ **გიორგი ზაზაძეს**

მის: ქ. ახალქალაქი, ა. წერეთლის ქ., N22

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 30 ივლისის N11922 სკრინინგის განცხადება და 2020 წლის 6 აგვისტოს წერილი N12330, რომლებიც ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩამდურაში, ვაჩიანის გზატკეცილზე, ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) ექსპლუატაციის საკითხს და გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ აღნიშნული ავტოგასამართი სადგური წარმოადგენს არსებულ ობიექტს, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რომელი წლიდან არის მოწყობილი მითითებული ავტოგასამართი სადგური და ნავთობპროდუქტების საცავები და იგეგმება თუ არა თქვენ მიერ რაიმე სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება (ნავთობპროდუქტების საცავების დამატება და ა.შ.). ასევე, სკრინინგის განცხადების თანახმად, მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე შეადგენს 250 მ-ს. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი ფიქსირდება საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 75 მეტრში. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე აღირიცხა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 6 წყარო. ხოლო თანდართულ ჩამონათვალში მოცემულია 8 წყარო, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას;

გარდა ამისა, წარმოდგენილ განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, კერძოდ:

- ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენებისა (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები და ა.შ.) და გამწმენდ ნაგებობაში წარმოქმნილი შლამის მართვა;
- ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არსებულ ანალოგიური ტიპის ობიექტებთან გარემოზე შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასება;

- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები;
- ავტოგასამართი სადგურის უსაფრთხოების საკითხები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე